წელიწადი I-ლი

პარასკევი 4 თებერვალი

ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 800 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.

4 „ „ „ . . . 45 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 25 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 25

## სავალდებულო დადგენილება

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულისა ქალ. ბათომში და მის ოლქში.

ხორცეულობის ხელოვნურად გაძვირების გამო ვამცნობ რა ქალაქის საბჭოს მიერ 13 ამა იანვრის გამოქვეყნებულ ნიხრს,

ვაცხადებ ხორცით მოვაჭრეთა საყურადღებოთ, რომ ხორცეულობა უნდა იყიდებოდეს შემდეგ ფასებში:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა | 150 | მან. |
| „ ფუთი | 5000 | „ |
| ღორის ხორცი გირვანქა | 200 | „ |
| „ ფუთი | 8000 | „ |
| ცხვრის ხორცი გირვანქა | 200 | „ |
| „ ფუთი | 8000 | „ |
| კამეჩის ხორცი გირვანქა | 120 | „ |
| „ ფუთი | 4000 | „ |
| ძროხის ქონი გირვანქა | 400 | „ |
| ღორის და ქონი ცხვრის გირვანქა | 500 | „ |

ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროთ მიმაჩნია მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

1) აიკრძალოს ქალაქიდან და ოლქიდან საქონლის გადადენა სხვა ადგილებში.

2) ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემული ნიხრის დამრღვევი მოვაჭრე დასჯილი იქნება ადმინისტრატიულ წესით (დატუსაღებით) ან გადასახლებით.

3) ვაჭარს, რომელიც ნიხრის დაწესების გამო შესწყვეტს ვაჭრობას, ჩამოერთმევა ვაჭრობის უფლება და მისი საქონელი სხვას გადაეცემა.

მილიციის უფროსს და მის დამქვემდებარებულ ადმინისტრაციის პირთ ვუბრძანებ სასტიკი თვალ-ყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას და დამნაშავეთა შესაფერ დასჯას.

ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი ქალაქის საბჭოს მიერ მიღებისა.

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბიოგბაძე.

14 3—3

## ბათომის მუშათა მაგიდა

თანახმად შრომის სამინისტროს, განკარგულებისა ა წ. 25 იანვრის თარიღით № 5, ყველა კერძო და სახელმწიფო წარმოებანი და დაწესებულებანი, რომელთაც მუშა-მოსამსახურეთ ღებულობენ სურსათ-სანოვაგეს ბათომის მუშათა მაგიდიდან ვალდებულნი არიან ა. წ. შიდ თებერვლამდე შემოიტანონ მაგიდის სალაროში იანვრის დეფიციტის ანგარიშში თითო მუშაზე თითო მანეთი (10,000) თვიური მუშა მოსამსახურეზე ვინც ადრიშულ ვადაზე არ შემოიტანს ხელშეწყობის თანხას, მათ მუშა მოსამსახურეებს

შეუწყდებათ რაციონის მიცემა.

რაციონ შეწყვეტილ მუშა-მოსამსახურეთ უფლება ეძლევათ მიიღონ დამქირავებლებთაგან შესაფერი კომპენსაცია ფულის სახით თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა 23 იანვრიდან ფულის შემოტანის ვადის გადაცილებისა დამქირავებელი არ იქნება

3—2 ბათომის მუშათა მაგიდა.

## მე-4-ე ქვეითა ათასეული

ნიშნავს 5 თებერვალს 1921 წ. 12 საათზე

## საჯარო ვაჭრობას

დაძველებულ იარაღისა, ბორბლისა და სხვა საწოვაოთა ავეჯისა, სიმინდისა ხორცისა და სხვა ნივთების და სხვა. ვაჭრობა მოხდება ათასეულის შტაბში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის სამეურნეო ნაწილში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.

ვაჭრობა უნდა იყოს წარმოდგენილი დამტკიცებული გირაო. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა ნებადართულია ყველა მოქალაქეს.

48

## განცხადება

თანახმად თაღდაცვის, საბჭოს დადგენილებისა, მიმდინარე წლის იანვრის 10-დან

### ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ელექტრონის სადგურების, წისქვილების, ქარხნების და ყველა ისეთი საწარმოვო და სხვა დაწესებულებების მესაკუთრეთა საყურადღებოთ, სადაც მუშაობა სწარმოებს შიგა წვის ძრავებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან მათ არ მიეცემათ თხევადი სათბობი მასალა და ამიტომ ეძლევათ უნდა მიიღონ ზომები მანქანების მაგარ სათბობ მასალებზე გადასაკეთებლათ ან გაზით გასახურებლად. თუ წინაღობა ამ ზომების მიღება შეუძლებელი ან არაეკონომიკური იქნება, მაშინ მესაკუთრეები ან გამგეები უნდა განიზრახონ მანქანების გადაკეთება-გადაკეთებაზე. მათ საწარმოვო-სამრეწველო დარგები ჩაითვლება საზოგადოებრივ ან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც დაევალება მანქანების გადაკეთება და ესპლოატაციაც მანქანების გადაკეთებაში აშინშნულ პირთ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი სახელოსნოები მანქანების სხვა და სხვა ნაწილების დამზადებაში, მთავრობის საწყობები კი საჭირო მასალების მიწოდებით.

ყოველგვარ ცნობებს ამ საკითხის შესახებ იძლევა ბათომის ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილება.

46 ბათომის ქალაქის გამგეობა.

## ბათომის მუშათა მაგიდა.

მაგიდას აქვს უტყუარი ცნობები ზოგიერთ პირების მიერ მაგიდის რაციონით ბოროტად სარგებლობისა.

მათ ვინაობას არ აქვეყნებს ჯერ-ჯერობით და მოითხოვს მათგან თავისი დანაშაულის თვით გაასწორონ, დღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ერთი კვირის შემდეგ

მაგიდა მიმართავს მათ წინააღმდეგ კანონს მთელი თავისი სიმკაცრით.

44 მუშათა მაგიდის გამგე.

## ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის

## დარბაზი

აუწყებს ბათომის მოქალაქეთ, რომ შაბათს 5 თებერვალს დღის 12 საათზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ოქროს და ვერცხლის ნივთები, ჰურჭლები, ტანისამოსები და სხვა. დარბაზი ღებულობს ნივთებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდე

გასაყიდ ნივთების ნახვა შეიძლება შაბათს 5 თებერვალს დილის 12 საათზე. დარბაზი მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის სახლში ყოფილი ქალაქის ლომბარდის ბინაზე

50 2—1

## ბათომის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ქალაქის ელექტრონის სადგურის აბონენტების საყურადღებოთ, რომ 1921 წ. იანვრის 1-დან თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ელექტრონის ძალაზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯგუფი ა . . . 1 კ-ს—135 მან. | ვოლ-მოტ—1 ცხ. მ . 14.000 მან. |
| „ ბ . . . „ — 180 მან. | „ „ 1—5 თითო . . 12.600 მან. |
| | 5 . . . 15 თითოულზე 11.000 მან. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბინებში 1 ოთახ—50 სანთლამდე—1350 მ. | | სავაჭრ. დაწ. უმრიცხვ. | |
| 2 „ —100 „ | —2460 მ. | 1ლ.-32 სანთლ. | —1680 მ. |
| 3 „ —150 „ | —3300 მ. | 1— 50 „ | —2010 მ |
| 4 „ —200 „ | —4200 მ | 1—100 „ | —3990 მ. |
| 5 „ —250 „ | —5100 მ. | 1—200 „ | —7500 მ. |
| 6 „ —300 „ | —6000 მ | | |

სამრეწველო ტარიფი: მრიცხველის ქირა ოვ. 400 მან

1000 კ.-მდე—70 მ. კ-ს. პროჟექტორის „ „ 10000 მან.

5000 „ —65 მან.

5000 „ ზევით 60 მან.

ასეთივე ნიხრით დაწესებული ბ. ფეფელოვის კერძო სადგურისათვისაც. ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ აბონენტებს ვისაც ბ. ფეფელოვი დაწესებულზე მეტს გადაახდევინებს აცნობონ მას ასეთ შემთხვევაში

სათანადო ზომების მისაღებათ.

ა1 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა

## განცხადება

### ბათომის სამხედრო მაღაზიის გამგე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 15-ს სამშაბათს, დილის 11 საათზე, დანიშნულია

## საჯარო შეჯიბრება

ბათომის გარნიზონის ჯარების პურის-საცხობის იჯარით გაცემაზე. სავალდებულოა შეჯიბრების მსურველთ შემოიტანონ საწინდარი 300000 მანეთი. ყოველ ცნობების მიღება შეიძლება მაღაზიის კანცელარიაში 8 საათიდგან 3 საათამდე გოროდოკში.

ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიის გამგე. 3—1

## ბათომი, 4 თებერვალი.

27 იანვარი მწველ სიხარულად ედება საქართველოს მთა და ბარს.

საქართველოს სახელმწიფო იურიდიულად დამოუკიდებელი და მსოფლიო სახელმწიფოთა რეგისტრაციაში შეტანილი რესპუბლიკაა.

ამ დღიდან ქართველ ერს ძლიერ ინტენსივობით სჭირია სახელმწიფოს შენება და დაწინაურების გზაზე სვლა.

ჩვენი ხალხი „კონკურენციის“ ხანაში შევიდა, ჩვენ უნდა შემოვიპოვოთ მსოფლიო ცხოვრებაში ეროვნული წონასწორობა, და შიგნით მოვეწყოთ ევროპის, მაგრამ წმინდა დემოკრატიულ წესით.

ერის ცხოვრების ყოველ მიმართულებით ელექტრიული სისწრაფის მუშაობა უნდა გაჩაღდეს.

ევროპის გაუმჯობესებანი უნდა შემოვიდეს ჩვენ სასოფლო მეურნეობაში, ქართული მიწა უნდა გახდეს ნაყოფიერ და მეტი მოსავლის მომცემი.

ვაჭრობა-მრეწველობაში მისი განვითარებისათვის ევროპის კაპიტალი უნდა წარმოდგეს ხელ შემწყობ ფაქტორად. უმთავრესი საქმიანობა კი გვმართებს შინა მრეწველობის შესაქმნელად

ჩვენში უკვე დაიწყეს მუშაობა საკუთარ ნავთის ამოსაღებათ, ამ დაწყებულების წარმატებისათვის ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ.

რკინის გზების განვითარება, მათი ელექტროფიკაცია ახლოზელ საკითხებათ უნდა დაისვას.

სოციალურ საკითხებსაც შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს და ისინი სახელმწიფო თვალთახედვით გადიჭრას.

კონსტიტუციისთვისაც ნიადაგი ყოველ მხრივ უნდა მომზადდეს. საქართველო უნდა იქცეს ნამდვილ

დემოკრატიულ უფლებრივ კონსტიტუციურ სახელმწიფოთ.

მოქალაქური ცხოვრება თეორიულ სფეროდან ცხოვრებაში რეალურად უნდა განამდვილდეს, მზარდველობაში მომზადებული მოხელენი უნდა გვყავდეს.

ფინანსიური დარგშიც რადიკალური ნაბიჯები გვჭირია, ახლა დროულად უნდა ჩაითვალოს საკუთარ ფულის სისტემაზე გადასვლა.

27 იანვრის გამარჯვება ყველას გვიბრძანებს ახალ ენერგიით და ძლიერ სურვილით ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის დაწინაურებისთვის და შიგნით დამწიფებისთვის, ევროპიულ დემოკრატიულ განმტკიცებისთვის.

## სტამბოლი და ანგორა.

ლაკონიური ცნობა: სტამბოლის და ანგორის მთავრობები შეთანხმდენო.

თავის თავად ცხადია, რომ სხვანაირი დასკვნა ვერ მიეცემოდა ოსმალეთის ამბებს. ოსმალეთში არ ყოფილა არავითარი სოციალური ხასიათის მოძრაობა და არც სამოქალაქო-ომს ჰქონია ადგილი.

ქემალი აზიის ოსმალეთში დამარცხებული ოსმალეთის ეროვნულ უფლებების აღსადგენათ იბრძოდა.

სტამბოლის მთავრობა ანტანტის ზარბაზნების წინაშე გამარჯვებულ მოკავშირეთა ყურმოჭრილი და ერთგული შეიქმნა სხვაფრივ მოქცევა არ შეეძლო სტამბოლს, მოკავშირეებს ეგონათ სტამბოლის მთავრობის საკუთარ ხელში ათამაშებით მთელ ოსმალეთს საექსპლოატაციო საგნათ გაიხდიდენ და წყეულ აღმოსავლეთის საკითხსაც გადასწყვეტდენ.

ცხოვრებამ არ ინება მოკავშირეთა ამ სურვილის განაღდება.

შეამჩნია ქემალ ფაშა რუსეთს შეუკავშირდა და ომი დაიწყო.

სტამბოლი პირველ ხანებში ჰგმობდა ქემალის პოლიტიკას, მაგრამ ბოლოს დაინახა, რომ ეს ცარიელი ... ოსმალეთური ორპოლიტიკა იყო.

სტამბოლის ცინიზმი ჯერ კიდევ არ მოუწიფებია ანტანტას როცა სტამბოლის დელეგაცია ანგორაში ჩასული ქემალის მხარეზე გადავიდა.

მოკლედ ანტანტი დარწმუნდა, რომ ასე მარტივად არ ხერხდებოდა ოსმალეთის ლიკვიდაცია და ალიე და ოსმანე ორი ძმა თამაშობენ იყვნენ.

ამას შემდეგომ იწყება მოკავშირე ... [illegible]

... ... ... ...

უს ნასკნელ დროს სტამბოლის და ანგორის მთავრობათა შეთანხმება თუ ასე ახლა დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია..

ახლათ ანტანტი კვლავ დასიამოვნებს ოსმალეთის საკითხში.

და შეეცდება ოსმალეთი რუსეთს ჩამოაშოროს ჩვენის ფიქრით ეს არც ისე ძნელია რადგან ოსმალეთმა იცის რომ მას რუსეთიდან არაფრის მიღება არ შეუძლია და ხოლო ბოლშევიზმიკოეის მეამბოხე რუსთან ოსმალეთის სიახლოვე სასაცილოა. ოსმალეთმა იცის რომ მან უნდა მიიღოს ეროვნული დაკმაყოფილება ანტანტისგან და დღეს თუ ასე რიგათ ჯიუტობს ეს იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტი დაითმობინოს ანტანტის.

ოსმალეთის მთავრობათა გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვისაც, ოსმალეთი საქართველოს ძველი მოსაზღვრეა და ჩვენი საგარეო პოლიტიკა ახლავე უნდა შეეცადოს რომ ოსმალეთის მიმართ სადი და ქართულ ეროვნულ ინტერესთან შეგუებული გეზი აიღოს..

ოსმალეთის ნამდვილი ინტერესი მოითხოვს რომ საქართველოსთან თანხმობა ქონდეს და ჩრდილოეთის საფრთხის შუა ბუფერს გრძნობდეს.

საერთოდ ჩვენ ოსმალეთის ამბებში უნდა განვსჭვრიტოთ ახლობელი პერსპექტივები და შესაფერად დავიცვათ ქართული ინტერესი.

## პატარა წერილები.

დამშვიდდა გაგიჟებული შავი ზღვა

კათავდა საშინელი ღელვა.

გაცოფებული სტიქია ჩადგა კალაპოტში და ეხლა უკვე ნაპირების შეხეთქებას როდი აპირებს.

მშფოთარე ზვირთებით დაშფოთებული ფრინველები ისევ წყალს ეამბორებიან, ხან ცაში ნავარდობენ, ხან მხიარულად ეთამაშებიან და შემდეგ ისევ წყალში იმალებიან...

თეთრ საფარივით გადაშლილი ღრუბლებით დაბურული ცა და მყუდროებას გვპირდება.

მშვენიერ დარებს, ნაადრევ გაზაფხულს!

მთლიდან მედიდურად ანათებს ოქროს ფერად აყვავებული მზე.

მშვენიერი ბათომის მზე.

ტურფა ქალაქი თაიგულათ გადაშლილა და მხიარულად გამოიყურება ოქროსგან მოწყენილი ქუჩა.

სჩქეფს სიცოცხლე, ნაზობს ვარდები, ჰხარობს ბუნება!

ნელის ნაბიჯით ჩამოუარს ქუჩის მეყვავილეს უდარდელი ,,ბებერ ა'' და ახალ გაშლილ ვარდებს ყიდულობს.

მშვენიერი თვალების ღიმილი, ბრჭყვიალა ბრილიანტები, მისი სიცილი, ყვავილები!

მე კი მტკივა გული!

ქუჩაში გამომავალი მომხიბლავმა ბუნებამ, დავდივარ ქალაქის დასავლეთით ამ მზიან და ავარდებულ დღეს, ვუცქერი მის ,,სახეს'', ვათვალიერებ მოსეირნე ხალხს, ვკითხულობ აქა-იქ გამოფენილ საგარეო წარწერებს და გულში საწყენი საკითხი წამომექრება:

— საქართველო თუ რუსეთი?

— სამშობლო თუ უცხოეთი?

— რას გავს ჩვენი ბათომის სახე?

— ვისია ეს უცხო, უჩნო და უმადური ნიღაბი?

გუშინ ჩვენ აქ ვიზეიმეთ უდიდესი დღე.

ჩვენი რესპუბლიკის ... ... დღე.

დიდმა ევროპამ საპატიო ადგილი უთავაზა ჩვენს ქვეყანას თავის ოჯახში და ჩვენც სიხარულით ,,ცას სტვებოდით''!

დღეს დავარდა ალტაცების ზვირთები, დადგა ჩვეულებრივი დღე და ბათომის შინაური სინამდვილე ისევ ჩვენ წინ დგას.

ჩვენ ვიცით, რომ ბათომი არის ჩვენი ქვეყნის კარი ევროპისაკენ, მტერმა კი იცის, რომ ბათომი არის საქართველოს გასაღები.

ამ კარში ჩამდგარა მტერი და ჯერ სულ განაბული ,,უცდის დროებას''.

ამ მოდარაჯე მტერს ხედავთ თქვენ აქ ყველგან და ყოველთვის.

ის მაჯლაჯუნასავით დაწოლია ქალაქის გარეგან და შინაურ, სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებას და საშინელი შხამით სწამლავს მას.

შედით ბათომის თეატრებში.

ინახულეთ მისი მრავალი გასართობები;

— ქუჩა!

— ცირკი!

— პროჟექტორები!

ყველგან ეს საშინელი წარსულის მოგონებელი

— ძველი რუსეთი!

რუსული ენა! რუსული განცხადებები! წარწერები! პიესები!

ჩვენ ვიცით რუსეთის ,,ამსახური'' საქართველოს წინაშე.

მან ამოგვგლიჯა ჩვენ პირიდან სამშობლო ენა!

ჯერ კიდევ დიდხანს ქართველი ინტელიგენტი იაზროვნებს რუსულათ და ილაპარაკებს ქართულათ.

ძველმა რუსეთმა შელახა ჩვენი კეთილი გული და სული, რომელიც მას ასე ალალად მიანდო ჩვენმა წინაპრებმა.

მის საშინელ რეჟიმში ვიხრჩობოდით ქართველები ასი წლის განმავლობაში

მან გაძარცვა ჩვენი სიმდიდრე, კულტურა, ისტორიული განძები.

— სწორეთ აქ ამ მშვენიერ ქალაქში, როდესაც მე ბავშვური აღტაცებით ბედნიერი ერთ ერთ სასწავლებელში ვსწავლობდი, სამღვთო სჯულის მასწავლებელი, მამა ივანიც კი, თავის ,,ცნობილ'' გაკვეთილებს იწყებდა შემდეგი სიტყვებით:

— ,,ქართველი ძაღლი, ლაპარაკი''..

,,სულიერი მამა'' მთელ საათს აბუჩად იგდებდა ჩვენი ღირსების გათელვას და ყოველ დღე ახალ ახალი ეპიტეტებით ამცირებდა ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, ჩვენს ადამიანობას!

ძველი რუსეთი მოკვდა თვით რუსეთში, მაგრამ მისი ნაყარი აქ გადმობარგულა და ბოროტად ჩაფიქრებულა.

ჩვენი ხალხის ერთ ერთი უდიდესი ღირსება მისი გულის კეთილ გრძნობებში გამოიხატება.

ამ გრძნობით აიხსნება ჩვენი რესპუბლიკის ლმობიერი მოპყრობა გუშინდელ ,,ველიკო დერჟავნიკებისადმი''.

მათ კი ვერც ეს დააფასეს!

გარეგნულათ და ფორმისათვის ეს ხალხი მორჩილების ნიშნებს იძლევა, ნამდვილათ კი ის ეწევა თავის შავ საქმეს და მზათ არის ჩვენი დასალუპავათ—

— ,,ეშმაკსაც დაუმეგობრდეს''!

ჩვენ ეს არ უნდა დავივიწყოთ.

ეხლა უნდა გათავდეს ზედმეტი ლმობიერება და აქაც, ბათომშიც რესპუბლიკამ უნდა სთქვას თავისი მ... სიტყვა.

აქ უნდა მოისპოს დახავსებული რუსეთის ნაშთები და გზა გაეხსნას ქართულ კულტურას, ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

ამ საქმეს უნდა შეუდგეს ქალაქის თვითმართველობა, სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციები.

ქალაქს დაქარგებით უნდა მიეცეს ქართული ელფერი, ისე, როგორც ეს თფილისმა და ქუთაისმა შესძლეს და აქვე უნდა გაფართოვდეს ქართული საქმიანობაც.

მაშინ ამ ევროპის კარს მოსცილდება შავი ზრახვებით გატაცებული ხალხი და ბათომის მზე მხოლოთ ჩვენთვის და ჩვენი კეთილი მეზობლებისათვის გადმოანათებს

ლხავდონიძე.

## შთაბეჭდილების ფურცელი

სულს არ სჯერა ეს სიცხადე.

მყინვარ ოთახში ვარ ქუჩიდან მოისმის ,,გიხაროდეს! საქართველომ გაიმარჯვა! ვაშა!.. უცებ ვერ გამოვერკვი რომელი გამარჯვება ახარებს ხალხს: ომი არ ყოფილა, ფატალური ქრჰნიკული დაავლის ორგანიზმში და ექვეშს მგვრის!..

ვინ ხარობს!..

ამინდი კი მრისხანებს, თოვლი და ჭყაპი ეჰარმონიება ზღვის ტალღათა ხეთქებას.

შავი ზღვა გადარეულია. გამოველ ოთახიდან, ზარებს რეკავენ, სიმღერა და ,,ვაშა'' ძლიერად გაისმის მტირალ ბუნებაში.

შმაევსკის თეატრში შეველ. აქ ტაში და ,,ვაშა'' ერთმანეთში არეულიყო,,ლოჟაში''მჯდომ მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს ოვაციებს უმართავდენ. აი აქ გავიგონე პირველად, დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე იცნესო

ოჰ, ღმერთო რა სიხარული და ბედნიერებაა ნეტავ ბავშვი ვიყო რომ ვიხტუნო და ვიხარო. ნეტავ იმას ვინც ახლა დაიბადება—ის საქართველოს მაღალ ბედნიერებას მოესწრება.

თოვლ-ჭყაპიანი ქალაქი მყისვე მოირთო ეროვნულ ბაირაღებით.

მხნე ასპინძის ბატალიონი ეროვნულ ჰიმნით სამღერეთ ყაზარმიდან გამოსულიყო.

ყაზარმებში დიდი ალტაცება იყო მაზარაში გამოხვეულო რაინდნი საქართველოს ამ დიად გამარჯვებას ერთმანეთს განუმარტავდენ და უხსნიდენ.

დეპოს მუშებში,სახალხო გვარდიაში და პროფესიულ კავშირებში სიამაყის დამდგარიყო წუთი.

უხაროდა მშრომელ ხელს, რომ მის ნამუშევარს, მის სისხლით განბანილ სამშობლოს ასეთი დიდი მიღწევა რომ ქონდა ფაქტათ.

ქართველ ხალხს სიხარული მეჯლისი გაემართნა.

გაწბილებული ჩვენი ქვეყნის მტერნი ვერ ბედავდენ ამ ზეიმში დისონანსის შეტანას და ტაშს გვიკრავდენ

ერთი ჯარის კაცი ამბობდა: ასეთი საშინელი უამინდობა აიხსნება იმით რომ მტრები, საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი უკანასკნელ ცრემლს აფრქვევენ დამარცხებულნი და გულ გატეხილნიო

ქართველი კაცი, იმედიანობის უძიროებაში გადავარდნილი, ამაყად მიდი-მოდიოდა ქუჩაში.

სამხრეთის დედა ქალაქი ჯერ განუცდელ აღმაფრენას გრძნობდა.

ქართლის ბედი მარავანდეთ მე ... მსოფლიო მასშტაბის გამარჯვებას დღესასწაულობდა!..

პატარა საქართველო, გუშინდელი მონა საქართველო, რომელსაც დღიდან მონობის უღლისგან გამოგლეჯისა სულ სამი წლის ისტორია ჰქონდა და ამ საქართველოს არსებობის შესახებ მსოფლიომ არა იცოდა რა, ქართველ ხალხის ცდით და ნიჭით, ქართველ ხალხის თავდადებულ მისწრაფებით, მსოფლიო სახელმწიფოთა ტოლერათ იქმნა აღსარებული.. ისტორიული და გრანდიოზული მიღწევაა.

გულში არ ეტევა სიხარული,ნატრობ მოახერხო სიტკბოებათა ჩაწვდომა იგრძნო, თავი ნორჩ ახალგაზდათ წარმოიდგინო და გაიცოცხლო მოგონებაში ყველა ის წუთები, რომლებიც,სამშობლო ჩემო, შენ წამების დროს და განთავისუფლების მოლოდინში განმიცდია.

ვინ იფიქრებდა ერო საყვარელო ამ ხუთეულ და ათეულ წლის წინათ შენს ასეთ ბედნიერებას.

შენთა შვილთა, რომელნიც ... კეთილდღეობისათვის ... იბრძოდენ მოგიპოვეს სიამენი ...

შენი გემი უკვე მსოფლიოს ზ... ვაშია შეცურებული, შენ საერთ... შორისო ფერხულში ხარ.

ღამის 1 საათია. ქუჩებში ,,ვაშა'' ისევ გაისმის.

ამაღამ ვის დაეძინება!?.

მე ვფურცლავ ჟურნალ-გაზეთებს და ოცნებით ვფრენ გუშინდელ და გუშინწინდელ ჩვენს ყოფაში.

რა ვიყავით გუშინ და რა ვართ დღეს...

ჩვენ 1918 წ. მაისის 26 საქართველოს გზის სიმხურვალეში მკვდრეთით აღვსდექით ქართლის ერთ თვით მყოფობა გამოვაცხადეთ.

იანვრის სუსხიან თვეში 1921 წ. მსოფლიო სახელმწიფოებმა ჩვენ დავაჯკაცება და დამწიფება სცნეს. ამ ფიქრებში მეყვინთება, სიხარულით აღგზნებულს, განცდის სიძლიერით გაბრუებულს.

ირაკლი.

27 იანვარი.

## სტამბოლის ცნობები.

— სტამბოლი და ანგორის მთავრობანი შეთანხმდენ

— გაზ. ,,ბოსფორი'', იუწყება, რომ ვრანგელის ჯარში ბოლშევიკური გახრწნა დაიწყო, რის გამოც ... ში ინგლისელი პატრულები ჩააყენესო.

— ინდოეთის აჯანყება გრძელდება.

— ანატოლიაში საყოველთაო აღწერას ახდენენ.

— ანგორის მთავრობას აზრით სომხეთის საკითხი პლებისციტის მიხედვით უნდა გადასწყდეს.

— ბოლშევიკები დიდათ შეშინებული არიან იმ გარემოებით, რომ ოსმალეთში დაარსდა სხვა და სხვა ერთა განმათავისუფლებელი კომიტეტები, რომლებსაც ოსმალეთი უწევს დახმარებას. ამ კომიტეტების მიზანია თავ თავის ერის რუსულ ბოლშევიზმისაგან განთავისუფლება.

— ევროპის პრესის მოხსენებით რუსეთიდან წასული სამი სოციალისტი ზღვაში კი არ დაიღუპა, არამედ ბოლშევიკებმა დახოცეს, რადგან მათ რუსეთის საწინააღმდეგო მასალები მიჰქონდათ ევროპის მუშათა კლასისათვის.

— ჩეხო-სლოვაკიაში ბოლშევიკურ გადატრიალების მეთაურთა გასამართლება დაიწყო, ისინი ყველანი გამოცხადებულნი არიან სახელმწიფო მოღალატეებათ და მათ ასამართლებს სამხედრო საველე სასამართლო.

## ახალი ამბები.

— ახალგაზრდათა გაწვევა ჯარში. თანახმად რესპუბლიკის გენერალური შტაბის ტელეგრაფით განკარგულებისა, მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული აცხადებს 1900 წ დაბადებულთა სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევის შესახებ, აგრეთვე 1897—1899 წ. გასაწვევნი 6 ამა თებერვლიდან 15 თებერვლამდე უნდა გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე, ციხე-სიმაგრის შტაბში (სმეკალოვის ქუჩაზე). გაწვევიდან განთავისუფლებულნი არიან ადგილობრივი მუსლიმანები ვინც დანიშნულ ვადაში არ გამოცხადდება დაისჯება თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ კანონისა.

— პატენტები. ბათომის ხაზინამ თბილისიდან მიიღო პატენტები

...ლანკები 1921 წ. ვაჭრობის უფლების მისაღებათ. სავაჭრო-სამრეწველო ...წესებულებათა პატრონები მოვალენი არიან 2 დღის ვადაში აიღონ პატენტები ამ ვადის შემდეგ დაიწყება სავაჭრო დაწესებულებათა დათვალიერება გადასახადების ამკრებ ინსპექციის მიერ და ვისაც პატენტი არ ექნება აღებული სასჯელში იქნება მიცემული.

— ფილოსოფიურ წრეში. შაბათს ... თებერვალს, საღამოს 8 საათზე ...რის ბინაზე დანიშნულია წრის წევრების კრება. წრის წევრები ვ. ...ბასენსკი და ნ. ვ. ჰიკრიძინი ...კითხავენ მოხსენებას შემდეგ თემაზე: ,,სიყვარულის შესახებ პლატონის მიხედვით.“ სტუმართათვის ...სვლა თავისუფალია.

— სტუდენტთა შორის. ბათომელ სტუდენტთა ორგანიზაცია კვირას ... თებერვალს იწვევს ორგანიზაციის წევრთა საზოგად კრებას.

## ტ ფ ი ლ ი ს ი.

(დე იურეს ცნობის გამო)

**...ალიის სამეფო მთავრობის პოლიტიკურ აგენტისაგან.**

იტალიის სამეფო მთავრობის პოლიტიკურმა აგენტმა ბ-ნმა ჩერუტ... ამ წერილით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იტალიის მთავრობამ თავისი ულრმესი თანაგრძნობის დასამტკიცებლათ საქართველოს რესპუბლიკისადმი, უკანასკნელის იურიდიულათ ცნობის გამო, გადაწყვიტა ამიერიდან იტალიის პოლიტიკური სააგენტო საქართველოში შესცვალოს დელეგაციით (სამისიით) ხოლო პოლიტიკურ აგენტის მაგიერ საქართველოს მთავრობასთან სრულუფლებიანი მინისტრი ...ლიოს. სრულუფლებიანი მინისტრად დანიშნულია იგივე ბ-ნი ჩერუტტი.

**...პიროებში მოხდა საქართველოს ცნობა.**

კონსტანტინეპოლი 30/1. თანახმად პარიზიდან მიღებულ ცნობებისა ... საქართველოს იურიდიულ ცნობის შესახებ, ერთა ლიგის ...რთო ყრილობის დახურვის შემდეგ, დეკემბერში, პირველად ანტანტის სახელმწიფოს წინაშე ოფიციალურად საფრანგეთმა აღძრა. ინგლისმა და იტალიამ ამის საპასუხოდ შეიტანეს წინადადება საკითხის გადადების შესახებ, ეს წინადადება ...თებულმა შტატებმა უარყვეს. ...დეგ, თანახმად ევროპაში მყოფ საქართველოს წარმომადგენლის წინადადებისა იანვრის დასაწყისში საფრანგეთმა კვლავ აღძრა ეს საკითხი, ...დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირე მთავრობებიდან განეხილათ, თუმცა არსებულ მომენტს ამისთვის მეტად არა ხელსაყრელად ...ლიდა. იტალია და შემდეგ ... ნგ... დასთანხმდნენ დაესვათ აღნიშნული საკითხი გადასაწყვეტათ პარიზში მომავალ კონფერენციაზე. საკითხი საქართველოს აღიარების შესახებ პირველად განიხილეს იანვრის ... საკითხი განხილულ იქმნა მოკავშირეთა სახელმწიფოების პრემიერმინისტრების და საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე. საქართველოს აღიარება გადაწყდა იანვრის ... საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა, რომელიც უკანასკნელ საზი თვის განმავლობაში განაგრძობდა მოქმედებას შემმართულებით, დაუყონებლივ ...დგინა ოფიციალური განცხადება საქართველოს აღიარების შესახებ.

**საფრანგეთის უმაღლესი კომისარის შეველიეს მილოცვა.**

საქართველოში მყოფმა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა შევალიემ საქ. დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი: საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით გულწრფელ მილოცვას მიუძღვნი საქართველოს რესპუბლიკას, მისი აღიარების გამო, რაც ეს, არის მაცნობა მე საქართველოს მთავრობამ. საქართველოს დიდებული და ბრწყინვალე წარსული აქვს; და მე უსურვებდი მას, რომ მომავალიც ასეთი ბრწყინვალე ქონდეს. წარსულში საქართველოს არა ერთხელ უხსნია ევროპა, მტრების თავდასხმისაგან. ჩემი გულწრფელი სურვილია რომ საჭიროების დროს ევროპამაც აღმოუჩინოს დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში. საქართველომ ბევრი უბედურება განიცადა. იგი ახლა ხალხთა ოჯახში დიდი ხნის მძიმე ბრძოლის შემდეგ შედის. ეს ბრძოლამ მისი საუკეთესო შვილების სისხლით არის შეღებილი. საფრანგეთის რესპუბლიკა სიყვარულით ეგებება თავის უმცროს დას. იგი შეეცდება ჩამოწმინდოს მას სისხლის წვეთები ამ ხნიდან საფრანგეთს სურს დაინახოს საქართველოს სახეზე მხოლოდ შრომის ოფლის წვეთები, რომ შესძლოს მან დაუღალავი შრომით და მომქირნეობით თავისი მომავლის უზრუნველყოფა, და გამაგრება, რითაც იგი (საქართველო) ამავე დროს გაამაგრებს საერთაშორისო მდგომარეობას და ნდობას. მაგრამ ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა მეგობრებისადმი პატივისცემა და ნდობა. რა სიცრუეც არ უნდა გაავრცელონ მათმა საერთო მტრებმა, საფრანგეთისა და საქართველოს რესპუბლიკები ყოველ მხრით მაინც დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენენ. ორივე წინაამდეგია მილიტარულ რეაქციისა და ძალადობისა, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. სწორედ ამიტომ უნდა იცხოვრონ ამ რესპუბლიკებმა ურთიერთ სიყვარულით და თანხმობით. მე ძლიერ მასიამოვნა საქართველოს მოქალაქეთა გუშინდელმა მანიფესტაციამ რომელმაც განმიცხადა თავისი საფრანგეთისადმი სიყვარული. სამართლიანობა მოითხოვს ვაღვიარო, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ამ საქმეში მართლაც დიდია. მე ბედნიერათ ვთვლი ჩემს თავს, რომ მე საშვალება მომეცა შემეწყო ხელი საქართველოსათვის და გამოვთქვამ გულწრფელ სურვილს, რომ ამიერ კავკასიის სხვა სახელმწიფოებსაც მოეპოვებიათ მშვიდობიანობა და დამოუკიდებლობა. გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკას,,

**საბერძნეთის წარმომადგენლისაგან.**

საქართველოში მყოფმა საბერძნეთის წარმომადგენელმა სკეროფერისმა საქართ. დეპეშ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განცხადება გააკეთა: საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა არის სამართლიანი დაჯილდოვება ქართველი ხალხის დიდი ხნის მოლოდინისა. არსებობისათვის და დამოუკიდებლობისათვის გაწეულ სასტიკი ბრძოლის შემდეგ მოვლენილი. საბერძნეთის წარმომადგენლობა ამ ცნობას დიდი სიხარულით შეხვდა და იმედოვნებს, რომ ამიერიდან საქართველოს შეუძლია დამშვიდებით შეხედოს მომავალს და დარწმუნებით შეუძლია გასწიოს წინ პროგრესისა და აყვავებისაკენ. ეჭვი არ არის უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს იურიდიულად აღიარების ცნობას საბერძნეთში შეხვდებიან დიდი სიხარულით და თანაგრძნობით, ვინაიდან საბერძნეთი საქართველოს ყოველთვის მეგობრულად ეპყრობოდა. საგარეო მდგომარეობის გამაგრებასთან ერთად საქართველო მოიპოვებს დაუფასებელ უფლებებს და უპირატესობას, ვინაიდან მის სავაჭრო საქმეებს ეძლევა მეტად დიდი მნიშვნელობა და საერთოდ საქართველოს ამიერიდან იურიდიულად ცნობის შემდეგ, სრული დამშვიდებით და დარწმუნებით შეუძლია მიაპყროს მთავარი ყურადღება შინაურ აღმშენებლობას. წინეთ უცხოეთის ვაჭრებს ეშინოდათ საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის დაკავება. ახლა კი, უზრუნველყო-რა საქართველომ თავისი საგარეო დამოკიდებულებანი, იგი შესძლებს თავის საგარეო ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობის გამაგრებასაც.

## დედა ქალაქში (დე იურეს ცნობა.)

**დამფ. კრებასთან.**

დამ. კრებასთან დიდძალი ხალხია თავმოყრილი. შორეულ უბნებშიაც გაუგიათ ეს ამბავი და გამოეშურნენ საერთო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ხალხის ჭედვა არ არის. აქ ხალხს პირველი სიტყვით მიჰმართა ს. დადიანმა. მთავრობის სახელით ხალხს მიესალმა ნ. რამიშვილი. ილაპარაკეს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ, დამფ. კრების სახელით ალ. ლომთათიძემ და ის. რამიშვილმა.

**უცხოეთის საელჩოებისკენ.**

აქედან პროცესია გაემართა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და გერმანიის მისიებისკენ. ორკესტრი უკრავდა ყველა ამ სახელმწიფოთა ჰიმნს ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი ულოცავდნენ ხალხს ამ დღესასწაულს და უსურვებდნენ საქართველოს წინსვლასა და გაძლიერებას. ვრცელი, შინაარსიანი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის ელჩმა, ბ. რაუშერმა: გერმანია ის სახელმწიფოა ევროპის სახელმწიფოთა შორის, რომელმაც პირველად იცნო იურიდიულად საქართველო და სიხარულს გამოსთქვამდა, რომ გერმანიის ხმა საერთო ევროპის ხმად იქნა ქცეული. ბ. რაუშერი დიდის ქებით ისხენიებდა ქართველ ხალხს და გამოსთქვამდა რწმენას, რომ საქართველოს მომავალი ბრწყინვალე და მარადიულად მოსული იქნებოდა

საპასუხო სიტყვით ბ. რაუშერს მიჰმართა გერმანულ ენაზე ბაქოში ჩვენს წარმომადგენლად ნამყოფმა ბ. ალშიბაიამ. ტფილისში მყოფ ჯარისა და გვარდიის ნაწილების საზეიმო აღლუმი მოხდა. მწყობრად დაწყობილი ჯარისა და გვარდიის ნაწილები გამოვიდნენ ქუჩაში დროშებით, ორკესტრითა და მუსიკით. ხალხი აღფრთოვანებით ჰხვდებოდა; ჩვენს თავისუფლებისა და ქვეყნის დამცველებს და მოსიყვარულე გულით გამარჯვებას უსურვებდა მხედრობას. ჩვენი მხედრობაც სიხარულით და აღტაცებით გაიძახოდა: ,,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“.

**საღამოთი.**

ხალხი დიდხანს არ იშლებოდა. მანიფესტაციამ საღამომდე გასტანა. ყველგან ჯგუფ-ჯგუფად იყო თავმოყრილი ხალხი და შთაბეჭდილებებსა და აზრებს უზიარებდნენ ერთი-მეორეს.

**თეატრებში.**

კვირას საღამოს წარმოდგენებმა სადღესასწაულო ხასიათი მიიღეს ამ ამბის გამო. სახელმწიფო დრამის თეატრში ხალხს სიტყვით მიჰმართა დამფ. კრების წევრმა ივ. ლომთათელმა, ხოლო სახელმწიფო ოპერაზე კომისარმა ალ. წუწუნავამ. ხალხი აღტაცებით შეხვდა, ორკესტრმა დაუკრა ჩვენი და სხვა სახელმწიფოთა ჰიმნები. ტაში და ვაშა აზანზარებდა თეატრის კედლებს.

**საქ. დეპ. სააგენტოს ცნობები.**

ლიონი. 31—1 (რადიო). უმაღლესმა საბჭომ იცნო ესტონიისა და საქართველოს დამოუკიდებლობა.

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება.**

**ტფილისი, იანვრის 30.**

დღეს იანვრის 30-ს, ამ ჟამად ევროპაში მყოფმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა რადიოდეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იანვრის 27 ს უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად იცნო საქართველოს რესპუბლიკა.

**მანიფესტაციები.**

ტფილისი. იანვრის 31. გადაწყდა საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულათ ცნობა იდღესასწაულონ მთელ რესპუბლიკაში კვირას, თებერვლის 6-ს. ამ დღეს გაიმართება მანიფესტაციები და მიტინგები.

**სამხედრო მინისტრისაგან.**

საქართველოს რესპუბლიკის ჯარს და გვარდიას გილოცავთ დიდად სამხიარულო ამბავს. იანვრის 27-ს უმაღლესმა საბჭომ ევროპის დიდ სახელმწიფოებისა იურიდიულად იცნო ჩვენი ნორჩი სახელმწიფო. საქართველო ამიერიდან სრულუფლებიანი წევრია ძველ სახელმწიფოთა ოჯახის. აწიც, ისე როგორც აქამდის მედგრად დაიცავთ რესპუბლიკის საზღვარს გარეშე მტრისაგან. გახსოვდეთ, რომ ჩვენ ამიერიდან მარტონი აღარ ვართ. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ჯარს და გვარდიას. გაუმარჯოს ჩვენს დამოუკიდებელ, უყოყმანოდ ცნობილ სახელმწიფოს.

სამხედრო მინისტრი ჰქინაძე.

**დამფუძ. კრებისაგან.**

სამხედრო მინისტრს, ალი მთავარ სარდალს. გთხოვთ დაუყონებლივ გადასცეთ ჯარსა და გვარდიას: ამ დღეს სიხარულით აღსავსე დამფუძნებელი კრება მოგილოცავთ თქვენ—ჩვენი ქვეყნის ერთგულნო დარაჯნო, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას ევროპის სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ, თქვენმა თავდადებამ და თქვენმა დაღვრილმა წმინდა სისხლმა მოუპოვა თქვენს სამშობლოს სრული თავისუფლება და ამიერიდან საქართველო შეიქმნა სრულუფლებიანი წევრი მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი ოჯახისა. გაუმარჯოს ჩვენ სამშობლოს, გაუმარჯოს თქვენ შეუდრეკელ სიმწიფეს

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

**საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოში.**

საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭომ იანვრის 30-ს სხდომაზე დაადგინა, მოაწყოს ტფილისში და რესპუბლიკის სხვა ადგილებში კვირას, თებერვლის 6-ს საზეიმო მანიფესტაციები საქართველოს იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად.

**პოლონეთის მინისტრის მილოცვა.**

საქართველოში მყოფმა პოლონეთის წარმომადგენელმა ვ. ოსტროვსკიმ მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშით მიმართა:

გულითადი სიხარულით შევხვდი მთელი ქვეყნის მიერ თქვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობის ამბავს. მიიღეთ ჩემგან პოლონეთის ხალხის სახელით გულწრფელი მილოცვა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენის გამო გისურვებთ თქვენ და თქვენი საუცხოვო ხელმძღვანელობით მთელ მოძმე ქართველ ხალხს, რათა საქართველოს სახელოვან ისტორიაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ კვლავ ჩაწერილიყოს საუცხოვო ფურცლები.

## ინტერნაციონალის ბარშემო.

**იტალიის სოციალისტების კონგრესი.**

იტალიის სოციალისტური პარტიის კონგრესი გაიხსნა 15 იანვარს ქ. ლივორნოში.

ყრილობის თავმჯდომარე, ლივორნოს ქალაქის თავი, მანდოლფი მიესალმა ყრილობას და აცნობა, რომ ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ დელეგატები გერმანიის დამოუკიდებელი პარტიისა როზენფელდი და დიტმანი და აგრეთვე გერმანელ კომუნისტების წარმომადგენელი პოლ ლევი. კონგრესმა გადაწყვიტა სიტყვის ნება მისცენ მხოლოდ მესამე ინტერნაციონალში შესულ პარტიების წარმომადგენელთათვის.

პოლ ლევი მიესალმა კონგრესს გერმანელ კომუნისტების სახელით და განაცხადა, რომ აუცილებელია რევოლიუციონერებმა კავშირი გასწყვიტონ რეფორმისტებთან, უნდა შეიქმნას ერთი მთლიანი კომუნისტური პარტია, რომელიც პროლეტარიატს გამარჯვებისაკენ წაიყვანს.

გრაციედიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც 3 საათს გაგრძელდა. მან ილაპარაკა ფრაქციის სახელით, რომელსაც სურს შეათანხმოს ე. წ. „წმინდა კომუნისტების“ და ,,გაერთიანების“ კომუნისტები (КОМУНИСТЫ ОБЪЕДИНЕНИЯ). გრაციედი ამტკიცებდა, რომ განხეთქილება სოციალისტთა შორის ნაციონალურ მასშტაბში უფრო მისაღებია ვიდრე ინტერნაციონალურ მასშტაბში. ის აუცილებლათ სთვლის ყოველგვარ კავშირის გაწყვეტას რეფორმისტულ ელემენტებთან, რომ ამით საშუალება მიეცეს (,,რევოლიუციონურ ელემენტებს) დარჩენ მესამე ინტერნაციონალში. ორატორი ამტკიცებდა, რომ მოსკოვის თეზისები საფსებით ეთანხმებიან მარქსიზმს და რომ ინტერნაციონალის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა გაატარებინოს ყველა პარტიები მკაცრი დისციპლინის შემოღებით.

გრაციედი უპასუხებს იმ სოციალისტებს, რომლებიც უსაყვედურებდენ მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ უკანასკნელი უარს ამბობს დაუთმოს იტალიის სოცია-

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
იყიდება დაწმენდილ დაცდილი ზნაჲ-ღვინოები
იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL"
დასხვა სასმელები მაღალი ღირსებისა
სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—9

ლიზმს ზოგიერთ საკითხებში იმ დროს, როცა ამ ერთივე დამოკიდებული მიიღო საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ. აღმასრულებელი კომიტეტი წავიდა დათმობაზე საფრანგეთის პარტიის მიმართ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ინტერესებისთვის და მესამე ინტერნაციონალში საფრანგეთის სოციალიზმის ჯანსაღი ელემენტების შესაყვანით. ფროსარდმა დაამთავრა თავისი სიტყვა მიმართვით „გაერთიანების" კომუნისტების მიმართ მიატოვონ აზრი პარტიის მთლიანობის დაცვის შესახებ.

კონგრესის მეორე დღეს გამოირკვა შეთანხმების შეუძლებლობა ცენტრის ფრაქციასა და მოსკოვს შორის. ცენტრის წარმომადგენელი შეეცადა დაეწყო ახალი მოლაპარაკება მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთან მაგრამ ამ ცდამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. კონგრესზე მყოფმა მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა პოლ ლევიმ და ბულგარელმა კაბაკჩიევმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ იტალიის პარტიას შეუძლია დარჩეს მესამე ინტერნაციონალში მხოლოდ სამი პირობის შესრულების შემდეგ: მოსკოვის თეზისების უკამათოდ მიღება, რეფორმისტების პარტიიდან გაძევება, „წმინდა კომუნისტების ჯგუფთან გაერთიანება. გაერთიანების პარტიამ უარი განაცხადა ამ პირობების მიღებაზე.

ამის გამო „წმინდა კომუნისტების" პარტიიდან გასვლა მოსალოდნელი ფაქტია. პარტიის მემარჯვენე ფრთა უერთდება ცენტრს და განაცხადა, რომ მზად არის დაემორჩილოს დისციპლინას, რომელსაც ცენტრალური ფრაქცია გამოიმუშავებს.

ამ რიგათ პარტიის დარღვევა პარჯვნით, რომელიც სურდა მოეხდინა ზინოვიევს, არ განხორციელდა. „გაერთიანების" კომუნისტები დასთანხმდენ, რომ პარტიამ შეინარჩუნოს ძველი სახელწოდება — „იტალიის სოციალისტური პარტია."

კონგრესის მეორე დღეს ბულგარელმა კაბაკჩიევმა წაიკითხა მესამე ინტერნაციონალის ვრძელი მემორანდუმი მემორანდუმის კითხვას ხშირად არღვევდა უმრავლესობის პროტესტები.

ბარატონომ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განმარტა „გაერთიანების" ფრაქციის მიერ დაჭერილი პოზიცია.

მოსკოვი და იტალიის სოციალისტები.

მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა გრძელი დეპეშა გაუგზავნა იტალიელ სოციალისტებს ლივორნოში მოწვეულ კონგრესის გამო. დეპეშას ხელს აწერენ ზინოვიევი, ლენინი, ტროცკი, ბუხარინი და აგრეთვე ბელა კუნი.

«ჩვენი წარმომადგენლების, ზინოვიევის და ბუხარინის ცდამ მიეღოთ მონაწილეობა თქვენ კონგრესში, ნათქვამია დეპეშაში, ვერ გამოიღო სასურველი შედეგები, რასაკვირველია არა თქვენი მიზეზით. რადგან ამხ. სერრატიმ და ბარატონომ, რომელთაც ჩამოსვლა სურდათ რუსეთში ჩვენთან მოსალაპარაკებლად ვერ მიიღეს ამის შესაძლებლობა, ჩვენ მოგმართავთ ტელეგრაფით ჩვენი ძმური სალამით და გაცნობებთ შემდეგს: ჩვენ დიდის ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს (თქვენი გაზეთების მიხედვით) ბრძოლას, რომელსაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ადგილი აქვს თქვენს პარტიაში. გაერთიანების ფარდის ქვეშ რეფორმისტები და „გაერთიანების" კომუნისტები მზად არიან გამოეყონ კომუნისტებს და თვით კომუნისტურ ინტერნაციონალს.

იტალია ამ ჟამად განიცდის რევოლიუციონურ პერიოდს, და ამ ფაქტიდან გამომდინარეობს ის, რომ ამ ქვეყნის ცენტრისტები და რეფორმისტები უფრო მემარცხენედ გვეჩვენებიან ვიდრე სხვა ქვეყნებში. ჩვენთვის უკვე ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ამ. სერრატის ფრაქცია არის ფაქტიურად ცენტრისტების ფრაქცია, რომელსაც მხოლოდ რევოლიუციონური ხანა აძლევს უფრო „მემარცხენე" ხასიათს ვიდრე სხვა ქვეყნების ცენტრისტებს.

სანამ გავიგებდეთ, როგორი იქნება უმრავლესობა თქვენ კონგრესზე, აღმასრულებელი კომიტეტი ოფიციალურად და კატეგორიულ ფორმაში უცხადებს კონგრესს, რომ საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებანი ავალებს ყველა პარტიებს, რომლებიც შევიდენ მესამე ინტერნაციონალში, ყოველივე კავშირი გასწყვიტონ რეფორმისტებთან.

ისინი, ვინც უარს ამბობს ამ მოთხოვნილების შესრულებაზე, არღვევენ კომუნისტურ ინტერნაციონალის მნიშვნელოვან დადგენილებას და მით თავის თავს აყენებენ მესამე ინტერნაციონალის გარეშე.

მთელი ქვეყნის უნიტარისტები ვერ დაარწმუნებენ კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომ ანტი-რეფორმისტული „Critica Sociale"-ს რედაქცია და სულის ჩამდგმელები თანაუგრძნობენ პროლეტარიატის დიქტატურას.

ვერავითარი დიპლომატია ვერ დაგვარწმუნებს ჩვენ, რომ გაერთიანების პარტია თანაუგრძნობს პროლეტარულ რევოლიუციას. იმათ, ვინც რეფორმისტებს ხელს უწყობს მესამე ინტერნაციონალში შესვლაში, სურთ პროლეტარულ რევოლიუციის დაღუპვა.

საერთაშორისო სოციალისტური პარტია უნდა შეიქმნას, რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. ამ პარტიისკენ არის მიმართული იტალიის პროლეტარიატის თანაგრძნობა და კომუნისტური ინტერნაციონალის მზრუნველობა.

ძირს რეფორმისტები!

გაუმარჯოს იტალიის ჭეშმარიტ კომუნისტების პარტიას!

## უცხოეთი.

ესერების დეკლარაცია.

დამფუძნებელი კრების წევრთა კერძო თათბირზე პარლამენტურ სხდომაზე, პარიზში, სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციამ გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია, რომლის ძირითადი მუხლები შემდეგია:

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია არის პარტია სოციალისტური და დემოკრატიული. ის უარყოფს გადატრიალებას, რომელსაც ახდენს უმცირესობა უმცირესობის დიქტატურის დასამყარებლად, მაგრამ მიისწრაფვის მშრომელი ხალხის რევოლიუციისაკენ.

მისი მიზნები და ბრძოლის მეთოდები — დემოკრატიულია.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია იბრძვის სოციალიზმის პატივისათვის, რომელიც გახრწნეს ბოლშევიკებმა, და პირველ ყოვლისა რუსეთის თავისუფლებისათვის.

რუსეთის ხსნა შეუძლია მხოლოდ თვით ხალხს რევოლიუციონურ ბრძოლაში და ამავე ბრძოლით ის აღადგენს თავის ხელისუფლებას.

ოთხი დებულება რჩება ურყევათ ფედერატიული რესპუბლიკა.

მიწა — ხალხს.

მუშათა კლასი — მონაწილე მხარის ეკონომიური ორგანიზების.

დამფუძნებელი კრება-ერთად ერთი წყარო ძალა-უფლებისა.

რუსეთის ხალხებს ვერავინ ვერ განათავისუფლებს: ისინი თვით უნდა განთავისუფლდენ.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია მტერია ყოველგვარი უცხო ინტერვენციის და სამხედრო-რეაქციონურ დიქტატურის.

არც დიქტატურა მარჯვნივ, არც დიქტატურა მარცხნივ

ხალხის ბრძოლა თავის ხელმწიფების დასამყარებლად საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძვლებზე.

უნგრეთელ კომისრების ბედი.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობა დაბეჯითებით ურჩევს უნგრეთის მთავრობას და უნგრეთის მმართველს ადმირალ ხორტის განათავისუფლოს ყოფილი სახალხო კომისრები.

ინგლისის მთავრობა სახალხო კომისრებისათვის გამოტანილ მსჯავრის სისრულეში მოყვანას ზედმეტ სიმკაცრეთ თვლის.

დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ უნგრეთის ყოფილი სახალხო კომისრები განთავისუფლებული იქნებიან, როგორც კი საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება დამთავრდება.

მთავრობის კრიზისი ესტონიაში.

გაზ. „Talinna Teataja" იუწყება: ტრუდოვიკების მთავრობამ პარლამენტის პრეზიდიუმს განუცხადა გადადგომის შესახებ, 7 იანვარს გრძელდებოდა მოლაპარაკება კოალიციონურ მთავრობის შექმნის შესახებ. კამათს იწვევდა უმთავრესად მიწის საკითხი მიწის მესაკუთრეთა ჯგუფი მიწების იჯარით გაცემის უფლებასთან ერთად ითხოვდა მიწების კერძო საკუთრებათ გაყიდვის უფლებას. ამ საკითხში მშრომელთა ჯგუფის (ტრუდოვიკების) შეხედულება მდენათ დაშორდა მიწის მესაკუთრეთა ჯგუფის შეხედულებას რომ მოლაპარაკებამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.

როგორც გაზეთი „Vaba maa" იუწყება, სახალხო პარტია თანახმაა მიიღოს მონაწილეობა მთავრობაში იმ პირობით თუ მიწის მესაკუთრეთა პარტიის წარმომადგენელი დაიჭერს მინისტრ-პრეზიდენტის პოსტს.

იმავე გაზეთის აზრით საეჭვოა პარლამენტში ბურჟუაზიული ბლოკის შექმნა.

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია.

რუსეთის რევოლიუციის „ბებია" ბრეშკო-ბრეშკოვსკაია პრაგაში იმყოფება, სადაც ის აპირებს დარჩენას სამუდმივ საცხოვრებლათ.

ავსტრიაში.

რადიოს სააგენტო იუწყება: დიპლომატიურ სფეროებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ავსტრიის მთავრობას აზრათ აქვს, თუ ვერ მოახერხა სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო კრედიტების მიღება, სახელმწიფო ძალა-უფლება გადასცეს მოკავშირეთა ზარალის ამნაზღაურებელ კომისიას.

შრომის კონფედერაცია,

მიუხედავათ სასამართლოს დადგენილებისა შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ უკანასკნელი განაგრძობს მუშაობას. ამ ჟამად ის აწყობს ანკეტას საფრანგეთის მთავრობის მოხელეების შესახებ ომის დროს განადგურებულ ოლქების აღდგენის საქმეში.

ვენის სოციალისტური კონგრესი.

ბერნში მოწვეულმა წინასწარმა კონფერენციამ, რომელიც იხილავდა 22 თებერვალისათვის ვენაში მოწვეულ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის საკითხს, გამოიმუშავა შემდეგი წინასწარი დღის წესრიგი:

1) წესდება, 2) იმპერიალიზმი და სოციალური რევოლიუცია — მომხსენებელი ვალხი, 3) მომავალ ბრძოლის ორგანიზაციის მეთოდები — მომხსენებელი ექიმი ადლერი, 4) საერთაშორისო რეაქცია კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ — მომხსენებელი ლედებური კონფერენციაზე დაშვებული იქნებიან ყველა სოციალისტური პარტიები, რომლებიც გამოვიდენ მეორე ინტერნაციონალიდან და მხარს უჭერენ 7 დეკემბერს ბერნის წინასწარ კონფერენციაზე მიღებულ პრინციპებს.

## საბჭოთა რუსეთში.

წითელ-არმიელთა აჯანყება.

ვილნოდან ბერლინის გაზეთ «ვერ... მიას» ატყობინებენ: ვიტებსკში დაბანაკებული მეთვრამეტე ბოლშევიკური მსროლელთა პოლკი აჯანყდა და მოითხოვა დაუყონებლივი დემობილიზაცია.

აჯანყებულმა წითელ-არმიელებმა ყაზარმების ჭიშკარზე ჩამოახრჩვეს ერთი კომისარი და დახვრიტეს დანარჩენი შვიდი. წითელ-არმიელებმა უკანასკნელთ სიმშილით სიკვდილი გადაუწყვიტეს

სმოლენსკიდან აჯანყების ჩასაქრობათ გაგზავნეს ჩინელთა ნაწილები. მაგრამ აჯანყებულებმა აჰყარეს რკინის გზის ლიანდაგი და მატარებელი, რომელსაც ჩინელთა ნაწილები მიჰყავდა ლიანდაგიდან გადმოვარდა. აჯანყებულმა წითელ-არმიელებმა ჩინელების დიდი ნაწილი ამოხოცეს თვით ვიტებსკში აჯანყებულებმა მოკლეს რამოდენიმე საბჭოთა სამსახურში მყოფი თანამდებობის პირი.

ბოლშევიკები და საქართველო.

«ვოლია როსიი» იუწყება: საბჭოთა მთავრობა აქვეყნებს „იზვესტიაში" ოფიციალურ განცხადებას, რომ მას არავითარი განზრახვა არ აქვს საქართველოს ომი გამოუცხადოს და ამიტომ საფრანგეთს არავითარი უფლება არა აქვს შავ ზღვაზე საქართველოს დასაცავად ფლოტი იყოლიოს

## რედაქციისაგან.

გაზ. „ბათომის ცხოვრების" რედაქცია სთხოვს 1919 წ. 1 იანვრის ერთ ერთ თბილისელ ქართულ გაზეთს „ერთობას", „სახალხო საქმე"-ს ან „საქართველო" ვთხოვთ მკითხველთ და სხვა პირთ, თუ მათ ასეთი აქვთ შენახული წარმოადგინონ რედაქციაში, რისთვისაც მიიღებენ შესაფერ ფასს თუ ინებებენ.

**რედაქცია.**

რედაქტორი კ. ჟავთარაძე.

დაიკარგა

პასპორტი, ხაიმ გურვიჩისა, მიცემული ბათომის მილიციისაგან 7 სეკტემბერს 1920 № 4106. ჩაითვალოს გაუქმებულად.

49

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ

ყოველდღიური გაზ.

„ბათომის ცხოვრებაზე"

თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.

ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა. ვ. შმაევსკისა. მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა